სარჩევი

რა არის ახალი 2

მიღებული ზედნადებების ავტომატური ჩამოტვირთვა და შესყიდვების შექმნა 2

მრავალდონიანი ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციის მეილით გაგზავნა 4

ეტიკეტების ბეჭდვის დამუშავებაში ფასის დადგენის დოკუმენტის მიხედვით გადავსება 6

სავაჭრო წარმომადგენლის ვიზიტების დაფიქსირების დოკუმენტი 7

გასწორებული შეცდომები 9

სხვა მოდიფიკაციები 10

ბალანსის რელიზი_1.3.10.14

10.06.2025

რა არის ახალი

მიღებული ზედნადებების ავტომატური ჩამოტვირთვა და შესყიდვების შექმნა

პროგრამა ბალანს დაემატა ახალი ფუნქციონალი რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად ავტომატურად ჩამოტვირთონ ზედნადებები შემოსავლების სამსახური პორტალიდან და შექმნან შესყიდვის დოკუმენტები მაშინაც კი როცა არ არის გახსნილი ბაზა.

ქლაუდ ბაზებსა და სერვერულ ბაზებში ყოველდღიურად დადგენილი დროს ირთვება ფუნქციონალი და ქმნის შესაბამის დოკუმენტაციას, ხოლო ფაილურ ბაზების შემთხვევაში თუ დადგენილ დროს არ არის აქტიური ბაზა, ფუნქციონალი გაეშვება მაშინვე როგორც კი მომხმარებელი გახსნის ბაზა.

ფუნქციონალის გააქტიურება შესაძლებელია ადმინისტრირების მოდულში, აღრიცხვის აწყობები „RS”



ალმის გააქტიურების შემდეგ გამოჩნდება დამატებით არაიდენტიფიცირებადი ნომენკლატურის და დოკუმენტის შექმნის ვარიანტების ასარჩევი ველი ზედნადებების ავტომატური ჩამოტვირთვისას, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ მოიქცეს დამუშავება როდესაც „ მომწოდებლის ნომენკლატურის“ ცნობარში არ დახვდება შესაბამისი ნომენკლატურები

მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს აირჩიონ შემდეგი ვარიანტები:



შეიქმნას ნომენკლატურა და გატარდეს დოკუმენტი	შეიქმნება ახალი ნომენკლატურა და გატარდება შესაბამისი დოკუმენტი
შეიქმნას ნომენკლატურა და ჩაიწეროს დოკუმენტი	შეიქმნება ახალი ნომენკლატურა და ჩაიწერება შესაბამისი დოკუმენტები
გატარდეს არაიდენტიფიცირებად ნომენკლატურაზე	გატარდება კონკრეტულ ნომენკლატურაზე რომელსაც აირჩევს მომხმარებელია
არ შეიქმნას ნომენკლატურა და დოკუმენტი	არ შეიქმნება ნომენკლატურა და არც შესაბამისი დოკუმენტი სადაც ფიგურირებს არაიდენტიფიცირებადი ნომენკლატურა თუმცა სხვა ყველა დოკუმენტი ჩვეულებრივ შეიქმნება და გატარდება

RS ის სერვისი მომხმარებლებს, როდესაც შერჩეულია „ მომხმარებლების მიხედვით“ დაემატა ალამის „ავტომატური ჩამოტვირთვა“ რომელიც გულისხმობს თუ რომელი მომხმარებლით უნდა იქნას ჩამოტვირთული ზედნადებები.



მრავალდონიანი ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციის მეილით გაგზავნა

პროგრამაში შესაძლებელია მრავალდონიანი ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია დამაავტორიზებელ პირთან და დოკუმენტის ავტორთან გაიგზავნოს მეილის მეშვეობით.

ავტორიზაციის მარშრუტების სიაზე, ინიციატორის შეტყობინების ველს დაემატა ვარიანტი - ფოსტა, რომლის არჩევის შემთხვევაში კონკრეტული მარშრუტის ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია ადრესატებს გაეგზავნებათ ელ.ფოსტის მეშვეობით. ასევე სიაზე დაემატა სვეტი - მეილი, რომელიც ავტომატურად ივსება ძირითადი ელექტრონული ფოსტის სააღრიცხვო ჩანაწერით და განსაზღვრავს, თუ რომელი მეილიდან გაიგზავნოს შეტყობინება.



ავტორიზაციის შესახებ შეტყობინების დაგზავნის მეთოდის არჩევა შესაძლებელია, ასევე ავტორიზაციის დონეების მიხედვით.

შემსრულებლების როლების სიაზე, შესაძლებელია თითოეულ ეტაპს მიეთითოს ინიციატორის შეტყობინების ტიპი. მაგალითად, პირველ დონეზე ავტორიზაციის შესახებ შეტყობინება გაიგზავნოს ბაზაში, ხოლო მეორე დონეზე მეილის მეშვეობით. თუკი შემსრულებლების როლების სიაზე ინიციატორის შეტყობინების ველი არის ცარიელი, მნიშვნელობას აიღებს მარშრუტის სიის ინიციატორის შეტყობინებიდან.



შეტყობინების მიმღები პირის ელ.ფოსტა მითითებული უნდა იყოს მომხმარებელზე, ელექტრონული ფოსტის ველში.



ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებები ბაზიდან შესაძლებელია ნახოთ გამავალი ელექტრონული წერილების დოკუმენტში.



ეტიკეტების ბეჭდვის დამუშავებაში ფასის დადგენის დოკუმენტის მიხედვით გადავსება

ეტიკეტების და ფასების ბეჭდვის დამუშავების შევსების ღილაკში დაემატა ახალი ფუნქციონალი – **„შევსება ფასის დადგენის დოკუმენტის მიხედვით"**.



საფასარების რაოდენობის შევსება შესაძლებელია 2 რეჟიმით:

- საწყობის ნაშთების მიხედვით
- 1 ცალის დაყენება თითოეული ნომენკლატურის პოზიციისთვის ნაშთებით



იმ შემთხვევაში თუ არჩეული გვაქვს საწყობის ნაშთების მიხედვით შევსების რეჟიმი, საფასარების რაოდენობის მონიშნეთ საქონლის ცხრილში სასურველი ნომენკლატურები >> დააჭირეთ ღილაკს “დაყენება” >> რაოდენობა მინიშნების გარეშე

სავაჭრო წარმომადგენლის ვიზიტების დაფიქსირების დოკუმენტი

დისტრიბუციის მოდულში დაემატა ახალი დოკუმენტი ვიზიტები, რომელიც სავაჭრო წარმომადგენელს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს კლიენტის ვიზიტების შედეგები.

დოკუმენტის გარდა დისტრიბუციის მოდულის საცნობარო ინფორმაციაში დაემატა ვიზიტების შედეგების ცნობარი. ცნობარის დასამატებლად საჭიროა მხოლოდ დასახელების შევსება.



ბალანსში დამატებული ვიზიტის შედეგის ცნობარები ავტომატურად გადაიტვირთება აპლიკაციაში, სადაც შემდგომ შესაძლებელი ხდება დოკუმენტის გაფორმებისას ვიზიტის შედეგის არჩევა.

ვიზიტების დოკუმენტი რომ გამოჩნდეს აპლიკაციაში, ამისათვის საჭიროა, რომ სავაჭრო წარმომადგენლის ცნობარზე უფლებებში მისაწვდომი დოკუმენტების სიაში მონიშნული იყოს ვიზიტების დოკუმენტი.

აპლიკაციაში ვიზიტების გაფორმება შესაძლებელია როგორც კლიენტების სიიდან, ასევე კლიენტის ცნობარიდან და ვიზიტების დოკუმენტიდან.



დოკუმენტის გაფორმებისთვის არ არის სავალდებულო ვიზიტის შედეგის შევსება, კლიენტის არჩევის შემდგომ შესაძლებელია დოკუმენტში მხოლოდ კომენტარის გაწერა და დადასტურება.

ბალანში ავტომატურად გამოიცვლება ვიზიტის დოკუმენტი, თუმცა ბექში შექმნილი დოკუმენტების აპლიკაციაში გაცვლა არ ხდება, მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა ჩართული კონტრაგენტებით გაცვლის ფუნქცია.

ვიზიტების დოკუმენტს ბალანსში არ აქვს ბუღალტრული გატარება, ამ დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული ანალიტიკის წარმოება დისტრიბუციის კლიენტებზე.



გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვის შექმნილ დოკუმენტებში გასაღების ძველი ლოგიკით ფორმირების ხარვეზი, თუ გასაღების შემადგენელი ველებიდან რომელიმე ცარიელია
- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვისას უცხოური ვალუტის ამონაწერის ჩატვირთვის ხარვეზი, როდესაც აღრიცხვის ვალუტა ლარისგან განსხვავებულია
- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვის დამუშავებაში ცალკეულ ფანჯარაში წესის ან ოპერაციის ტიპის მითითების ფილიალის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია განაცხადის დოკუმენტიდან ანგარიშ-ფაქტურის გაგზავნის ხარვეზი
- გასწორებულია შიდა მოთხოვნის დოკუმენტების სიაზე, დოკუმენტზე მიბმული ფაილების რაოდენობის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია უკან დაბრუნების დამხმარეში შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკის შევსების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- საშემოსავლო დეკლარაციის დანართი „ა“-ს ახალი ფორმა